12/02/2021

საეკლესიო კალენდარი: 12 თებერვალი

2020 წლის 12 თებერვალი (ძველი სტილით 30 იანვარი) – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლისთვის მარხვაა.

12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდთა მღვდელთმთავართა – ბასილი დიდის, გრიგოლი ღმრთისმეტყველის და იოანე ოქროპირის; ასევე მღვდელმოწამის იპოლიტე რომის პაპისა და მისთანა მოწამეთა: კენსორინესი, საბინესი, ქრისია ქალწულისა და სხვათა 20-თა მოწამეთა; ღირსისა ზენონისა, წმ. ბასილი დიდის მოწაფისა; მოწამისა თეოფილე ახლის; კეთილმორწმუნის მეფისა პეტრე ბულგარელის ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმიდათა შორის მამაჲ ჩვენი ბასილი დიდი, კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსი

ღირსი მამა ბასილი დიდი დაახლოებით 330 წელს დაიბადა კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში. იგი კეთილშობილებით, სიმდიდრით, ნიჭიერებითა და საღვთო მოშურნეობით ცნობილი გვარის ჩამომავალი იყო. სიყრმე ბასილმა მამა-პაპისეულ მამულში გაატარა, პირველდაწყებითი განათლება მამის ხელმძღვანელობით მიიღო, შემდეგ კი საუკეთესო მასწავლებლებთან სწავლობდა კაპადოკიის კესარიაში. კესარიიდან ბასილი ეწვია კონსტანტინეპოლს და რიტორიკას სწავლობდა ცნობილ ლიბანიოსთან. თავისი განათლება მომავალმა ეპისკოპოსმა გააგრძელა ტრადიციული ფილოსოფიური სკოლებით მდიდარ ქალაქ ათენში.

ათენიდან დაბრუნების შემდეგ ერთხანს იყო რიტორიკის მასწავლებლად. დაახლოებით 30 წლისამ მიიღო ქრისტიანობა, იმოგზაურა ცნობილი განდეგილების მოსანახულებლად სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. 370 წელს გახდა კესარეის ეპისკოპოსი, ამასთანავე კაპადოკიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი.
ბასილი დიდმა მიაღწია სამღვდელოების განთავისუფლებას გადასახადებისაგან, დააარსა დავრდომილთა თავშესაფრები, კესარიაში ააგო სასტუმრო მწირთათვის.
ბასილი დიდი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოღვაწედ ითვლება ძველ ქართულ მწერლობაში. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ევქუსთა დღეთაჲ“, რომელშიც განმარტებულია ბიბლიური კოსმოგონია. აღწერილია სამყაროს შექმნის ექვსი დღე, განხილულია ანტიკური მეცნიერთა შეხედულებები „საგანთა პირველსაწყისის შესახებ“. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნებით იგი კაპადოკელი ქართველი უნდა ყოფილიყო.
სნეულებებმა, რომლებიც სიყმაწვილიდანვე თან სდევდა წმიდანს, მკაცრმა და თავშეკავებულმა ცხოვრებამ, სამწყსოზე ზრუნვამ და წინააღმდეგობებთან ბრძოლამ, წმიდა ბასილს ფიზიკური ძალები გამოაცალა. 379 წლის 1 იანვარს 49 წლის ღირსი მამა გარდაიცვალა. ეკლესიის ეს უდიდესი მამა მიცვალებისთანავე წმიდანად შერაცხეს.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი

გრიგოლი ღვთისმეტყველი ერთ-ერთი გამოჩენილი კაპადოკიელ მამათაგანია. ის 329 წელს დაიბადა კაპადოკიაში, განათლებულსა და შეძლებულ ოჯახში. მამას გრიგოლი ერქვა, დედას – ნონა. ისინი მრავალი წლის მანძილზე უშვილონი იყვნენ. ნონა ევედრებოდა უფალს, რომ ძე შესძენოდა, და თავიდანვე აღთქმა დადო: თუ ვაჟი ეყოლებოდა, მას ღმერთის სამსახურს შესწირავდა. უფალმა ისმინა მისი და მისცა ძე, რომელსაც მამის სახელი – გრიგოლი უწოდეს.
გრიგოლი 30 წლისა იყო, როცა მამის ხელიდან მიიღო წმიდა ნათლისღება. მისი მამა ნაზიანზის ეპისკოპოსი იყო.
გრიგოლის დაუღალავი ქადაგების შედეგად ქრისტეს ეკლესიას მრავალი შეცთომილი

შვილი დაუბრუნდა,
გრიგოლი აღესრულა 389 წლის 25 იანვარს, ღრმად მოხუცებული, და პატივით დაკრძალეს მშობლიურ ქალაქ ნაზიანზში. 950 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა მისი წმიდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენა.

წმიდა იოანე ოქროპირი – კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი

წმიდა იოანე ოქროპირი იყო ქრისტიანული ეკლესიის ბიზანტიელი მოღვაწე, მწერალი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი.
იოანე ოქროპირი ანტიოქიაში დაიბადა, დაახლოებით 347 წელს. მისი მშობლები, სეკუნდუსი და ანთუსა, წარჩინებული და ღმრთისმოშიში ხალხი იყო. სეკუნდუსს მხედართმთავრის თანამდებობა ეჭირა, იგი მეფის კარზე დიდი პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ ადრე გარდაიცვალა და ყრმა იოანეს აღზრდა მთლიანად დედას დააწვა მხრებზე, რომელიც სულ ახალგაზრდა, 20 წლისა დაქვრივდა. ანთუსა შვილს ქრისტიანული ღვთისმოშიშების სულს უნერგავდა და ამასთან საერო განათლებასაც აძლევდა იმ დროის ცნობილი სწავლულების ხელმძღვანელობით.
იოანე ოქროპირმა 398 წლიდან, მიიღო საფუძვლიანი განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ წარმართი ფილოსოფოსი ლიბანიოსი და თეოლოგი დიოდორუს ტარსუსელი.
იოანე ოქროპირი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წმინდა მამა, ქრისტიანულ ეკლესიაში. ის ცნობილი იყო თავისი მჭერვმეტყველობითი ქადაგებებით და საზოგადო საუბრებით, მკაცრად ეწინაამღდეგებოდა ადამიანებს (ორივეს საეკლესიოს და საეროს) ვინც უღირსად იყენებდა თანამდებობას.
იოანეს გარდაცვალების შემდგომ 407 წელს (ზოგი წყაროს თანახმად) მას მიენიჭა სახელი Χρυσόστομος (ხრისოსტომოს), ბერძნულად, რაც ნიშნავს “ოქროპირს.”

წმიდა იპოლიტე რომაელი

ჰიპოლიტუს რომაელი ან იპოლიტე რომაელი ანტიპაპი, (170–235)
ადრექრისტიანული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი საეკლესიო მწერალი.
ტერმინი ანტიპაპი ეწოდება იმ პირს, რომელიც რომის ეკლესიასთან და რომის ეპისკოპოსთან დაპირისპირებაში იმყოფება და ისიც რომის ეპისკოპოსი ხდება თავისი მომხრეებისთვის.
ჰიპოლიტუსი სავარაუდოდ რომში დაიბადა, მეორე საუკუნის მეორე ნახევარში. ფოტი I მას იხსენიებს, როგორც ირენეოს ლიონელის მოსწავლეს, რომელიც თავისმხრივ ნახსენებია როგორც პოლიკარპე სმირნელის მოსწავლე. ჰიპოლიტუსი პირველი და

ერთადერთი წმინდა ანტიპაპია.

ღირსი ზენონი

წმინდანი ბასილი დიდის მოწაფე, მდიდარი პონტოელების შვილი იყო. იგი იმპერატორ ვალენტინის (364-378) კარზე მსახურობდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი განერიდა ამ სოფელს და ანტიოქიის მახლობლად, ერთ გამოქვაბულში დასახლდა. ორმოცი წელი მოსაგრეობდა იგი ამ მღვიმეში, ყოველ კვირა დღეს ტაძარში დადიოდა და ეზიარებოდა. მას კელიაში არც საწოლი ჰქონდა, არც კერა, არც სანათური, ძველი ფლასები ეცვა, ღებულობდა მხოლოდ პურსა და წყალს, რომელიც ძალიან შორიდან მოჰქონდა ძნელად სავალი გზით. წმინდა ზენონი განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა საღვთო წიგნებს, რომლებიც მასთან სულიერი დამოძღვისთვის მოსულებს მოჰქონდათ. ღვთაებრივი მადლით აღსავსე ნეტარი მოსაგრე საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდა. იგი გარდაიცვალა V საუკუნის დასაწყისში.

წმიდა მოწამე თეოფილე ახალი

წმიდა მოწამე თეოფილე ახალი კონსტანტინეპოლელი, ბერძენთა ლაშქრის მხედართმთავარი და სენატორი იყო. არაბებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს მტრებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს. უსჯულოები ამაოდ ეცადნენ წმიდანის გადადრეკას ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან, რის შემდეგაც კუნძულ კვიპროსზე საპყრობილეში ჩააგდეს. ოთხი წლის შემდეგ -784 წელს ნეტარ მოწამეს თავი მოჰკვეთეს.

წმიდა კეთილმსახური მეფე პეტრე ბულგარელი

კეთილმსახური პეტრე, ბულგარეთის მეფე, ღვთისმოშიში ქრისტიანი იყო. ის ხშირად აკითხავდა ღირს იოანე რილელს (ხს. 18 აგვისტოს, 19 ოქტომბერს), სთხოვდა მას ლოცვას და სულიერ რჩევა-დარიგებას. კეთილმსახურმა მეფემ შესძლო, ბიზანტიასთან ზავი დაედო ბულგარეთისათვის ხელსაყრელი პირობებით და იმასაც მიაღწია, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ეცნო ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა და ბულგარეთში საპატრიარქო საყდარი დაემტკიცებინა. პეტრემ ხელი შეუწყო ქვეყნიდან ბოგომილების ერესის ამოძირკვას, გარდაიცვალა 967 წელს, 56 წლის ასაკში.

დიდმოწამე თეოდორე ტირონი

წმიდა მოწამე თეოდორე ტირონი პონტოს ამასიაში მდგარ პოლკში მსახურობდა. იგი ჯერ ისევ ახალწვეული მხედარი იყო როცა უსჯულო მეფეებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის მიხედვით, ყველა ქრისტიანი, რომელიც უარს განაცხადებდა კერპთაყვანისცემაზე, სამსჯავროს უნდა გადასცემოდა. თეოდორესაც მოსთხოვეს ცრუ-ღმერთებისთვის მსხვერპლის შეწირვა, რაზეც მან მტკიცე უარი განაცხადა და საჯაროდ აღიარა ქრისტე.
პოლკის სარდალმა, ბრინკამ წმიდანს რამდენიმე დღე მისცა მოსაფიქრებლად, მაგრამ მას არაფერი ჰქონდა გადასაწყვეტი. მხურვალე ლოცვებით განმტკიცებულმა წმიდანმა „ღმერთების დედის“ – სიბილას ტაძარი გადაწვა, რაც უკვე აშკარა გამოწვევა იყო. გამხეცებულმა მსაჯულმა ბრძანა, საპყრობილეში ჩაეგდოთ თეოდორე და შიმშილითა და წყურვილით მოეკლათ.
თედორე წარმართებმა ჯერ ხეზე მიაბეს და სამთითებით ჯიჯგნეს, შემდეგ კი უზარმაზარი კოცონი დაანთეს და მასთან მიიყვანეს. ძვლებგაშიშვლებული თეოდორე შევიდა ცეცხლში, პირჯვარი გადაისახა და სულიწმიდის მადლით გაძლიერებულმა ლოცვით შეჰვედრა სული უფალს. ეს მოხდა 306 წლის 17 თებერვალს. ერთმა ღვთისმოსავმა ქალმა, ევსებიამ სუფთა ტილოში შეგრაგნა წმიდანის უხრწნელი ცხედარი და თავის სახლში დაკრძალა. შემდეგ მოწამის წმიდა ნაწილები კონსტანტინეპოლში, მისივე სახელობის ტაძარში გადაასვენეს, თავი კი იტალიის ქალაქ გაეტშია დაბრძანებული.

მასალა მომზადებულია ღია წყაროებზე დაყრდნობით.

— sputnik-georgia.com